ეროვნული ბიბლიოთეკა

მხურვალე სალამი სპორტული ფილმების II საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СЛ

№ 244 (3728)

15 1968 წ. დეკემბერი. კვირა.

ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

აი, პროგრამა:

15 დეკემბერი
ფესტივალის გახსნა

(19 საათზე)

1. „სპორტსმენები“ (საქართველოს კინოქრონიკა).
2. ორი კინოჟურნალი „საბჭოთა სპორტი“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).
3. „ახალბედა“ (მ. გორკის სახელობის სტუდია).

16 დეკემბერი
I სეანსი

(დასაწყისი 10 ს.)

1. „მოფარიკავეები“ („კიევნაუჩფილმი“).
2. კინოჟურნალი „საბჭოთა სპორტი“ №9/68 (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).
3. „ძახილი“ (ლიტვის სტუდია).
4. „ფრენბურთელები“ („უკაზახფილმი“).
5. „ვერტიკალი“ (ოდესის სტუდია).

II სეანსი

(დასაწყისი 12 ს.)

1. კინოჟურნალი „ჩრდილოეთ კავკასია“ № 29/68 (ჩრდილოეთ კავკასიის სტუდია).
2. კინოჟურნალი „ცხენები და ბიჭები“ (ლიტვის სტუდია).
3. „მოძრაობათა ხოცარი სამყარო“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).
4. „ზარნიცა“ (შორეული აღმოსავლეთის სტუდია).
5. „ფიზკულტურის 45 წუთი“ (სვერდლოვსკის სტუდია).

III სეანსი

(დასაწყისი 18 ს., 30 წ.)

1. კინოჟურნალი „ვოლგისპირეთი“ № 13/67 (კუიბიშევის სტუდია).
2. „მწვრთნელის თვალი“ („კიევნაუჩფილმი“).
3. „მოჭადრაკეები“ („ცენტრნაუჩფილმი“).
4. „შეხვედრა იალბუზთან“ (ჩრდილოეთ კავკასიის სტუდია).
5. „ბურთი, გულშემატკივრები და ჩვენ“ (ლიტვის სტუდია).

17 დეკემბერი
I სეანსი

(დასაწყისი 10 ს.)

1. კინოჟურნალი „სპორტული უაზახეთი“ № 3/68 („უაზახფილმი“).
2. „ევროპის თასი, კიევი-67“ („უკრხრონიკა“).
3. „დარტყმა! კიდევ დარტყმა!“ („ლენფილმი“).

II სეანსი

(დასაწყისი 12 ს.)

1. კინოჟურნალი „სპორტული უაზახეთი“ № 3/66 („უაზახფილმი“).
2. „ნა-ტა-ლი!“ („კიევნაუჩფილმი“).
3. „ფეხბურთელები“ („ცენტრნაუჩფილმი“).
4. „მოტობურთი“ (რიგის სტუდია).
5. „ცხენოსნები“ (ჩრდილოეთ კავკასიის სტუდია).

III სეანსი

(დასაწყისი 18 ს., 30 წ.)

1. კინოჟურნალი „რადიანსკი სპორტი“ № 4/68 („უკრხრონიკა“).
2. „საბავშვო სპორტული სკოლა“ („ცენტრნაუჩფილმი“).
3. „შეჩერდი, წინ მეხიკოა!“ („უზბეკხრონიკა“).
4. „კუნთები, XX საუკუნე“ („კიევნაუჩფილმი“).
5. „მატჩ-რევანში“ („სოიუზმულტფილმი“).

(დასასრული იხ. შემდეგ ნომერში)

ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო...

ყოველ შეჯიბრებაში სამი მედალი უნდა გათამაშდეს! თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა სპორტზე ვლაპარაკობთ? სწორია და არცაა სწორი. ჩვენ ვხედავთ სპორტსმენებს, მოხიბლული ვართ მათი მოქნილობით, ძალით, გვაღელვებს სპორტული ბრძოლის ეპიზოდები. მაგრამ კაშკაშა პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ საპატიო კვარცხლბეკზე ადიან... კინოსცენარისტები, კინორეჟისორები, კინოოპერატორები...

ასე იყო სპორტული ფილმების I საკავშირო ფესტივალზე, რომელიც ორი წლის წინ მოეწყო მოსკოვში.

ასე იქნება ახლაც, თბილისში, II საკავშირო ფესტივალზე. აქ უჩვენებენ მხატვრულ, დოკუმენტურ, სამეცნიერო-პოპულარულ, სასწავლო, მულტიპლიკაციურ ფილმებს. საინტერესოა „მრავალჭიდი“ მოკლე და სრულმეტრაჟიანი, ფერადი და შავ-თეთრი ფილმებისა.

საფესტივალო ბრძოლა გაჩაღდება ჩანაფიქრის სიცხადისთვის, ოსტატური სორცესსმისთვის, სიუჟეტური გამომგონებლობისთვის!

ჯუჯენ...

თბილისში გაიმართა პრეს-კონფერენცია სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალზე აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის, რომელთა წინაშე გამოვიდნენ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ბ. ჩირკოვი და სხვ.

ოლიმპიური სპორტული ბატალიების დევიზია: „უფრო სწრაფად! უფრო მაღლა! უფრო შორს!“ სპორტულ კინოკონკურსს კი სხვა დევიზი აქვს: „უფრო საინტერესოდ! უფრო აზრიანად! უფრო თვალნათლივ!“

1967-1968 წლებში საბჭოთა კავშირის კინოსტუდიებმა ასზე მეტი ფილმი მიუძღვნეს ფიზკულტურასა და სპორტს. მათგან საკონკურსოდ 60-მდე ფილმი დაუშვა ფესტივალის ჟიურიმ. ზოგმა ფილმმა მოკლე დროში უკვე მოიპოვა ერთგვარი საფესტივალო გამოცდილება. ეს ფილმები აჩვენეს საერთაშორისო კონკურსებზე კორტინა დ'ამპეცოში, ოლიმპიურ მეხიკოში, ობერჰაუზენში... ჯერ ყველასთვის უცნობი ფილმები კი ეს-ესაა ჩამოვიდა სამონტაჟო მაგიდიდან.

სპორტისადმი მიძღვნილ ოთხ მხატვრულ ფილმში ერთ-ერთი იქნება „ლენფილმის“ მილიონობით მაყურებლისთვის უკვე ნაცნობი ნამუშევარი: „დარტყმა! კიდევ დარტყმა!“ და გორკის სახელობის კინოსტუდიის სულ ახალი სურათი, რომელსაც სახელად „ახალბედა“ ჰქვია. გვინდა ამ უკანასკნელსაც ვუსურვოთ იგივე სახელოვანი გზა, როგორიც ფილმის გმირმა ტანმოვარჯიშემ გაიარა. სამეცნიერო-პოპულარულ და სასწავლო ჟანრის ფილმებში მედლებსა და დიპლომებს 15 შერჩეული სურათი გაითამაშებს.

მოსკოვის სტუდია „ცენტრნაუჩფილმი“ წარმოდგენილია სურათით —„გზა სიჯანსაღისა და სილამაზისკენ“. ეს ფილმი საკმაოდ სასიამოვნო და საიმედო პერსპექტივებს გადაუშლის ყველა ასაკის მაყურებლებს.

სტუდია „კიევნაუჩფილმმა“ ამ პერსპექტივებს მიუძღვნა ფილმი „კუნთები, XX საუკუნე“.

ტანვარჯიში, ფეხბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, ფარიკაობა, — აი, რას წარმოადგენენ ეკრანზე სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმების გმირები.

თბილისში უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი დოკუმენტური კინო. ესაა 19 ფილმი, დაწყებული დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ნამუშევრით — „სტარტების ფურცლები“, დამთავრებული ჩრდილოეთ კავკასიის სტუდიის პოეტური მოკლემეტრაჟიანი ქრონიკით — „იალბუზთან შეხვედრა“.

საკონკურსოდ დაშვებულია 17 პერიოდული სპორტული ჟურნალი. შერჩეულია მათგან საუკეთესოები, ასეთი კინოჟურნალი კი ბევრია. მათ სისტემატურად უშვებენ მოსკოვის, ლენინგრადისა და იმ მოკავშირე რესპუბლიკების კინემატოგრაფისტები, სადაც სპორტი უყვართ და ფიზკულტურას პატივს სცემენ.

უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ თემას სულ უფრო ხშირად კიდებენ ხელს საბჭოთა კავშირის სტუდიები. მაგალითად, II საკავშირო ფესტივალში 30-მდე სტუდია მონაწილეობს. ეს ბევრად მეტია I ფესტივალზე.

ფესტივალი ჯერ მეორედ ტარდება, მაგრამ უკვე შეიძლება ლაპარაკი „ჩემპიონ სტუდიებზე“. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია „კიევნაუჩფილმი“. ეს სტუდია დიდ ადგილს უთმობს ფიზკულტურასა და სპორტს. I ფესტივალზე უკრაინელმა კინემატოგრაფისტებმა ოქროს 2 მედალი მოიპოვეს. ახლა მათ 6 ფილმი აქვთ წარმოდგენილი. სარეკორდო ციფრია!

არ შეიძლება არ აღინიშნოს ენთუზიაზმი ჩრდილოეთ კავკასიის კინოსტუდიისა, რომელმაც ფესტივალზე 4 ნაკუშევარი წარმოადგინა — 2 ფილმი და 2 ჟურნალი.

სტუმართმოყვარე თბილისი სტუმრებს ხვდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ, რომელიც ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობს, მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე თქვა: სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალისთვის ყველაფერი მზადაა.

ფესტივალის მასპინძლად თბილისი შემოხვევით როდია არჩეული. საქართველო ღირსეულად ამაყობს უმაღლესი სპორტული მიღწევებით, მდიდარი ტრადიციებით.

ნინო დუმბაძე და ელენე გოკიელი, მზია ჯუღელი და გალინა შარაბიძე, ბორის პაიჭაძე და ავთანდილ ღოღობერიძე, ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია, — ყოველი ამათგანი ცალკე ფურცელია საბჭოთა სპორტის ისტორიის წიგნში! — დღეს ეს ტრადიციები გრძელდება.

ოღონდ ერთი რამ გვიკვირს: რატომაა, რომ საქართველოს კინემატოგრაფისტები არ იყენებენ ასეთ მდიდარ სპორტულ ტრადიციებს, მსახიობთა ასეთ ჩინებულ ანსამბლს და არ გვახარებენ სპორტის თემაზე შექმნილი ახალი მაღალმხატვრული ფილმებით?

იმედი გვაქვს, სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალი, რომელიც თბილისში ტარდება, ხელს შეუწყობს ამ საქმით ქართველი კინემატოგრაფისტების დაინტერესებას.

ა. ზლოდორევა,
სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

16-20 დეკემბერს კინოთეატრ „სპორტში“ (ციოროვის სახელობის პარკი) უჩვენებენ სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალზე წარდგენილ ნამუშევრებს.

სეანსების დასაწყისი 17, 19, 21 საათზე.

ყოველ სეანსზე ნაჩვენები იქნება მხატვრული, ქრონიკალური, დოკუმენტური და სხვა ფილმები.

ბილეთები იყიდება კინოთეატრის სალაროებში.

ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲗ

● **კიევი, 13 დეკემბერი.** რუსულ შაშში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად რიგელ ი. ცინესა და ლენინგრადელ ი. სპასკაიას მატჩის ბოლო, VI პარტიის წინ მძაფრი მდგომარეობა შეიქმნა. ლენინგრადელს აუცილებლად უნდა მოეგო, რომ ჩემპიონის ოქროს მედალი მოეპოვებინა. მან მართლაც გაიმარჯვა და მატჩის ანგარიში გახდა 3:3. ოქროს მედალი სპასკაიას გადაეცა, ვინაიდან მას უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით.

● *მოსკოვი, 13 დეკემბერი.* *დღეს აქ დაიწყო წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის გათამაშება. ასპარეზობაში ჩაებნენ მოსკოვის, მაგდებურგისა და ბუქარესტის „დინამოს“ გუნდები, აგრეთვე, ბარსელონის „ნატასიონკლუბი“. ასპარეზობა ორ წრედ მოეწყობა და პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები გათამაშების შემდეგ წრეში გავლენ. გაიმართა პირველი შეხვედრები. მოსკოვის დინამოელებმა ანგარიშით 1:2 წააგეს თავიანთ მაგდებურგელ თანაკლუბელებთან, ხოლო ბუქარესტის „დინამომ“ მოუგო ბარსელონის „ნატასიონკლუბს“.*

● **მოსკოვი,** 13 დეკემბერი. შეჯამდა დაწნით ფარიკაობაში საერთაშორისო ტურნირებში მოსასპარეზეთა შედეგები და შედგა ათეული, რომელშიც I ადგილზეა ავსტრიელი რ. ლოზერტი — 100 ქულა. 70 ქულით II ადგილზეა საბჭოთა მოფარიკავე ვ. მოძოლევსკი. ათეულში შევიდნენ, აგრეთვე, საბჭოთა სპორტსმენები გ. კრისი, ი. ვიტებსკი, ი. სმოლიაკოვი.

● *ქიშინიოვი, 13 დეკემბერი.* *კლასიკურ ჭიდაობაში ივანე ზაიკინის პრიზზე დღეს აქ დაწყებული ტრადიციული ტურნირი პირველად იქცა საერთაშორისოდ: ამ მემორიალის დებიუტანტებად მოგვევლინენ პლოვდიველი (ბულგარეთი) ათლეტები. სტუმართა გუნდის შემადგენლობაში არიან პოდუბნის წლევანდელი მემორიალის გამარჯვებული ვ. ცონჩევი, ბულგარეთის ჩემპიონატის პრიზიორები დ. ლაზაროვი, ხ. ბოტევი და ს. დობრევი, ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრი ი. მილევი. პლოვდივის მოჭიდავეთა კოლექტივი ბულგარეთის წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია. საზღვარგარეთელი სპორტსმენების მეტოქეებად მოგვევლინება საბჭოთა ქვეყნის 20 ქალაქიდან ჩამოსული 200 ათლეტი.*

● **პრაღა, 13 დეკემბერი.** ჩეხოსლოვაკიის რეგბისტთა საშემოდგომო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ადგილობრივმა „სლავიამ“ ანგარიშით 11:0 დაამარცხა თანაქალაქელი „სპარტა“ და უფლიერესის სახელი მოიხვეჭა. ჩეხოსლოვაკიელ რეგბისტთა საგაზაფხულო ტურნირის ფინალური ეტაპი 1969 წლის 6-22 ივნისს გაიმართება.

● **ქაირო,** 13 დეკემბერი. ხმელთაშუა ზღვაში ვარჯიშის დროს, ქალაქ ეს-სალუმის მახლობლად ტრაგიკულად დაიღუპა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ცნობილი მოცურავე-მარათონელი ხ. მაჰმუდი. იგი დაიხრჩო ეგვიპტისა და ლიბიის მოსაზღვრე წყალში. ეგვიპტის ფლოტის ლეიტენანტმა ხ. მაჰმუდმა გაიმარჯვა 1965 წელს კაპრი—ნეაპოლის ტრადიციულ გაცურვაში და მრავალგზის მოიპოვა პრიზები საერთაშორისო შორეულ გაცურვებში.

● **ნიუ-იორკი,** 13 დეკემბერი. არტურ ეში პირველი ზანგი სპორტსმენი გახდა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო ჩოგბურთელთა სიას 1968 წლის სეზონის მიხედვით (სია გამოაქვეყნა ჩოგბურთის ეროვნულმა ასოციაციამ). მეორე ჩოგბურთელად დასახელებულია კლარკ გრებერი, მესამედ — სტენ სმითი. წლეულს ეშმა მოიგო აშშ-ს მოყვარულ ჩოგბურთელთა ჩემპიონატი და ამ ქვეყნის ღია პირველობა პროფესიონალთა მონაწილეობით. გარდა ამისა, ზანგი სპორტსმენი უიმბლდონის ოპენ-ტურნირის ნახევარფინალისტი იყო, ასევა კი ამერიკელთა გუნდის ლიდერად გვევლინება, რომელიც დევისის თასის ფინალში ამ პრიზის მფლობელს — ავსტრალიის ნაკრებს უნდა შეხვდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი მასპინძლობს...

იცნობდეთ ჟიურის!

II საკავშირო ფესტივალის ჟიურიში შედის 18 კაცი — კინორეჟისორები, მსახიობები, ჟურნალისტები, სახელოვანი სპორტსმენები.

წარმოგიდგენთ მათ:

ბ. ჩირკოვი — სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი (თავმჯდომარე).

გ. ასათიანი — კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ლ. გორიანოვი — ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის“ მთავარი რედაქტორი, რსფსრ-ს ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარე.

ა. ზგურიდი — კინოსტუდია „ცენტრნაუჩფილმის“ შემოქმედებითი გაერთიანების მხატვრული ხელმძღვანელი, რსფსრ-ს სახალხო არტისტი.

ა. ზლოდორევა — სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

ა. ივანიცკი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

გ. ბაკლანოვი—სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი.

ი. კარტაშოვი — ცენტრალური ტელევიზიის პროპაგანდის მთავარი რედაქციის სპორტული განყოფილების გამგე.

ნ. კისელიოვი—გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორი.

ს. როსტოცკი — რსფსრ-ს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მ. ჭორკის სახელობის კინოსტუდიის კინორეჟისორი.

ი. ჩულიუკინი — კინოსტუდია „მოსფილმის“ რეჟისორი.

ე. ვერმიშევა — დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის რეჟისორი.

ო. ეფრემოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სამმართველოს უფროსი რედაქტორი (პასუხისმგებელი მდივანი).

სპორტი ჩემი გატაცებაა!

ეუხდა ისე, რომ მე, სპორტული კინოს „პრეზიდენტს“, მსახიობს, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება ობიექტივის წინ გავატარე, სპორტულ კინოში ჯერ არ მითამაშია. თუმცა არა, ერთხელ დოკუმენტური კინოფილმის — „ფეხბურთელების“ გადაღების დროს ოპერატორმა მოულოდნელად გადამიღო ცნობილ ფეხბურთელ, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. სტაროსტინთან ერთად სტადიონის ტრიბუნაზე. ეს იყო და ეს!

მაგრამ არა უშავს, „დებიუტი“ გამართლდა და სულ მალე მაყურებელი უკვე ნამდვილ სპორტულ კინოფილმში მნახავს. ესაა ნიჭიერი რეჟისორის ე. კარელოვის (იგი ა. ივანოვთან ერთად ფილმის სცენარის ავტორიც გახლავთ) ფილმი „შვიდი მოხუცი და ერთი ქალიშვილი“. სათაურიდან ალბათ უკვე მიხვდით, რომ ნაწარმოები კომედიური ხასიათისაა. დიახ, მე იქ ვასრულებ სათვალიანი მოხუცის — ხანდაზმულთა სპორტული ჯგუფის ერთ-ერთი „საუკეთესო“ წარმომადგენლის როლს.

— ძალზე უმი მასალაა! — ამბობს ამ შეტად პატივცემულ ხალხზე ფიზკულტურის ახალგაზრდა სპეციალისტი, ფილმის გმირი ლენა, რომლის როლს ყველასთვის უკვე კარგად ცნობილი ს. საველიევა ასრულებს. მაგრამ გულმოდგინეობას, საქმის ერთგულებასა და სიყვარულს თავისი გააქვს — ფიზკულტურას ბევრი სიკეთე მოაქვს სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის ესაა სურათის მთავარი მიზანი.

ფილმში თამაშობენ სხვა პოპულარული მსახიობებიც: ა. პაპანოვი, ი. ნიკულინი, გ. ვიცინი და სხვ. ყოველი მათგანი, მთელი ჩვენი კოლექტივი მოუთმენლად ელის მაყურებელთან შეხვედრას. პირადად მე ძალიან ვფლავ — შეიძლება ისევე, როგორც ოდესღაც, ახალგაზრდობაში, „მაქსიმის“ გადაღების დროს ვფლავდი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფილმი ხომ სპორტულია!

ახლა კი ჩვენს სპორტულ ფორუმზე. ნუ გაგიკვირდებათ, რომ აქამდე ფესტივალზე სიტყვაც არ დამცდენია. მოგეხსენებათ, ჟიურის თავმჯდომარე ვარ და, ცხადია, უფლება არა მაქვს წინასწარ ვილაპარაკო. ჩვენ, ამ თავისებური „კინოჩემპიონატის“ მსაჯებს, სიტყვა მოგვიანებით, შედეგების შეჯამების დროს მოგვეცემა.

ერთს კი მაინც ვიტყოდი: სპორტული ფილმების ფესტივალების ჩატარება უკვე იმიტომაა მოსაწონი, რომ ამ ფესტივალზე, როგორც წესი, დიდი სჯა-ბაასი იმართება სპორტული კინოს ყველა საჭირბოროტო საკითხზე. გარდა ამისა, ასპარეზზე გამოდიან ახალი სცენარისტები, რეჟისორები, ოპერატორები, რომლებიც სპორტში მეტ ჰეროიკას, დრამატიზმსა და პოეზიას ხედავენ. მათი გამოსვლა კი ახალი სპორტული კინოფილმების დაბადებას მოასწავებს!

ბ. ჩირკოვი,
სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

ფესტივალის ირგვლივ

დიდ ფესტივალს მუდამ მრავალი „თანამგზავრი“ ახლავს. ამ მხრივ არც საქართველოს დედაქალაქის კინოფორუმია გამონაკლისი. ამ დღეებისთვის გამოშვებულია 2000 ცალი ფესტივალის სამკერდე ნიშანი, 20-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა კატალოგი „სპორტი კინოს თვალით“. ფესტივალის ეს ორივე სუვენირი შეეძლიათ შეიძინოთ კინოთეატრ „რუსთაველში“.

გარდა ამისა, ფესტივალისთვის მომზადებულია გემოვნებით გაფორმებული 5 სახის პლაკატი. დიდი რაოდენობით დაიბეჭდა სხვადასხვა სახის სარეკლამო ფურცლები, ფესტივალის პროგრამა და ა. შ.

ფესტივალზე აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის პრეს-ცენტრი გამოუშვებს ყოველდღიურ პრეს-ბიულეტენებს, რომელთა საშუალებითაც კორესპონდენტები მიიღებენ ყველა საჭირო მასალას თავიანთი ჟურნალ-გაზეთებისთვის.

ფესტივალის გასაშუქებლად ჩვენს ქალაქს ეწვევიან ჟურნალების „სოვეტსკი ეკრანის“, „ისკუსტვო კინოს“, „ფიზკულტურა ი სპორტის“, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტები.

ნ. მესხი.

26, 56, 112...

ამ ციფრებს სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალის დღეებში თავისი, ჩვეულებრივისგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ:

„26“ თბილისის სპორტულ კინოფორუმში მონაწილე სტუდიათა რიცხვია, „56“ — საკონკურსო ფილმებისა, „112“ — ფესტივალზე საჩვენებლად გამზადებული ფილმების 10-წუთიანი ნაწილების რაოდენობა.

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე ციფრს: „12“ ფერადი ფილმების რიცხვია, „4“ — მხატვრული, „20“— დოკუმენტური ფილმებისა, „16“ — კინოჟურნალებისა.

ყველაზე ძუნწად თბილისის ფესტივალზე წარმოდგენილია მულტიპლიკაცია. ამ ჟანრის მხოლოდ ერთი სურათი იქნება ნაჩვენები. ესაა ცნობილი მულტიპლიკატორის ბ. დიოჟკინის „მატრ-რეკანში“.

ჩვენც მზად ვართ!

იმ ამბავმა, რომ სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალი ჩვენს კინოთეატრში ტარდება, ძალიან გაგვახარა. ნდობას გამართლება უნდოდა. 12 ნოემბრიდან კინოთეატრში რემონტი დაიწყო. ეჩქარობდით, გვინდოდა მზად დავხვედროდით ფესტივალს. ესარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი კოლექტივის ყველა წევრს, თბილისის ყველა ორგანიზაციას, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ საქმეში. სტუმრებს მზად დავხვდით.

ფესტივალისთვის მოეწყო სპორტული ფოტოსურათებისა და ქართველი სპორტსმენების ჯილდოების მდიდარი გამოფენა. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ განაგრძს თვალით ნანახი სჯობს. მობრძანდით, გვეწვიეთ. ჩვენს კინოთეატრში ყველა სიხარულით შეგხვდებათ.

ზ. ჩუმბაძიძე,
კინოთეატრ „რუსთაველის“ დირექტორი.

ეს იყო 1966 წელს...

სპორტული ფილმების I საკავშირო ფესტივალიდან საქართველოს კინემატოგრაფისტები თვალსაჩინო ნადავლით დაბრუნდნენ.

მაშინ, როგორც ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ, საქართველოს სტუდიებში შექმნილმა სამმა ფილმმა ფესტივალის ლაურეატობა მოიპოვა. მაგალითად, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოები „უშბაზე ძლიერნი“ ფესტივალის შესამე პრიზით — ბრინჯაოს მედლითა და დიპლომით დაჯილდოვდა. ცნობილი ოპერატორ-მთამსვლელის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. კრეპსის ნამუშევარს (მან პირველი ჯილდო მოიპოვა რესპუბლიკურ ფესტივალზე) დიდი პოპულარობა ხვდა მოსკოვის კინოფესტივალზე. მოსკოველები და სტუმრები მოხიბლა ქართველი მთამსვლელების სიმამაცემ — პრჭუში უშბის მწვერვალის დაპყრობამ მიუვალი მხრიდან, 600-მეტრიანი ციცაბო კედლიდან. და ეს ყველაფერი მოსაწონი ოსტატობით იყო გაცოცხლებული ეკრანზე.

სამეცნიერო-პოპულარულ სურათებში დიდი მოწონება ხვდა ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის ვ. მიქელაძის ნამუშევარს — „352 საათი ანაკოფიის უფსკრულში“. ამ ფილმმა, რომელიც ქართველ სპელეოლოგთა სიმამაცეზე მოგვითხრობს, მოსკოვის ფესტივალზე ბრინჯაოს მედალი და დიპლომი დაიმსახურა.

როგორც საუკეთესო კომედიურმა კინონოველამ, I საკავშირო ფესტივალის სპეციალური დიპლომი დაიმსახურა მესამე ქართულმა ფილმმაც — გ. მგელაძის სურათმა „ბურთი და მოედანი“, რომელშიც შესანიშნავი მსახიობი ი. ხვიჩია თამაშობს.

ასეთი იყო საქართველოს კინოხელოვანთა წარმატება პირველ ფესტივალზე.

ო. ნოზაძე.

ჯილდოები ელიან მფლობელებს



II საკავშირო ფესტივალის საუკეთესო ფილმების გადამღებ კოლექტივებს და ცალკეულ შემოქმედებით მუშაკებს მიენიჭებათ პრიზები და პრემიები.

საკონკურსო კინოფილმები დაყოფილია ხუთ ჯგუფად: მხატვრული, დოკუმენტური, სასწავლო, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიპლიკაციური.

ჯგუფებში სამ-სამი გამარჯვებული მიიღებს ჯილდოებს — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებსა და შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებს.

ფესტივალის დიპლომებით დაჯილდოვდება აგრეთვე სამი საუკეთესო სპორტული კინო-ჟურნალი.

პრიზები, პრიზები...

როგორც მუდამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საკავშირო ფესტივალისთვის ამჯერადაც რამდენიმე საინტერესო პრიზი დააწესეს:

ჟურნალ „სოვეტსკი ეკრანის“ რედაქციამ — სპორტსმენის საუკეთესო კინემატოგრაფიული პორტრეტისთვის;

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ — შემოქმედებით კოლექტივს — კინოსურათში სპორტსმენის ფსიქოლოგიური სახის შექმნისთვის (პრიზი „ვერცხლის ზონარი“);

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციამ — ახალგაზრდა კინემატოგრაფისტს (სცენარისტს, რეჟისორს, ოპერატორს) კინოში თავისებური და ორიგინალური სპორტული თემის ხორცშესხმისთვის;

საკავშირო დოსაააფმა — პირველი პრიზი: ფილმის შემოქმედებით კოლექტივს სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების პროპაგანდისთვის; მეორე პრიზი: ოპერატორს, გადაღების უჩვეულო პირობებში ოსტატობისა და მამაცობის გამოვლინებისთვის;

ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ რედაქციამ — კინოში სპორტული თემის საუკეთესო რეჟისორული გადაწყვეტისთვის;

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა — მხატვრულ კინოში სპორტული თემის საუკეთესო სასცენარო გადაწყვეტისთვის;

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა — საუკეთესო კინორეპორტაჟისთვის;

საქართველოს ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა — სპორტის ესთეტიკის და ადამიანის ფიზიკური სრულყოფის პროპაგანდისთვის;

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ — საუკეთესო სადიქტორო ტექსტისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნაიპერები...

დღეს კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის V ტურია, თუმცა ორმა კოლექტივმა — მოსკოვის არმიელებმა და ალმა-ათის „ლოკომოტივმა“ უკვე ჩაატარეს V და VI ტურის მატჩები. სატურნირო ცხრილში I ადგილზეა ცსკა, რომელმაც 6 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვა. 4-4 ქულით მომდევნო ადგილებს იყოფენ კიევის არმიელები და კაუნასის „უალგირისი“. მაგრამ დღეს გუნდების სატურნირო მდგომარეობაზე როდი გვექნება ლაპარაკი: ვისაუბრებთ ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან კალათბურთელებზე, ცალკეული კოლექტივების სნაიპერებზე და იმაზე, თუ როგორი მაჩვენებლები აქვთ ამ მხრივ სსრ კავშირის ნაკრების წევრებს.

მაშ ასე, თავდაპირველად ყველაზე შედეგიან მოთამაშეებზე. პირველ ათეულში სამი ალმაათელი და ორი მოსკოველი არმიელია. აქ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ჩემპიონატის დებიუტანტმა სხვებზე მეტი მატჩი ჩაატარა. როგორც ჩანს, ვეისმანის, ნიკიშინისა და პოზდნიაკოვის სნაიპერული მონაცემები კიდევ ბევრჯერ იქცევა მსჯელობის საგნად.

1.	ვეისმანი („ლოკომოტივი“, ალმა-ათა)	125 ქულა
2.	ბელოვი (ცსკა)	93
3.	ნიკიშინი („ლოკომოტივი“, ალმა-ათა)	91
4.	პოზდნიაკოვი („ლოკომოტივი“, ალმა-ათა)	90
5.	იურგენსონი (ვეფ, რიგა)	87
6.	პოლივოდა („სტროიტელი“, კიევი)	80
7-8.	მოსეშვილი („დინამო“, თბილისი)	77
7-8.	პაულაუსკასი („უალგირისი“, კაუნასი)	77
9.	კოვალენკო („ბურევესტნიკი“, თბილისი)	71
10.	ანდრეევი (ცსკა)	70

ახლა კი გადავხედოთ ყოველი გუნდის სნაიპერთა სიას და მათგან 3 უძლიერესი გამოვყოთ.

„დინამო“ (თბილისი). 1. მოსეშვილი — 77, 2. სხიერელი — 60, 3. საკანდელიძე — 44. გუნდმა ჩაატარა 4 შეხვედრა, გაიტანა 302 ბურთი.

ახკ (კიევი). 1. ნოვიკოვი — 68, 2. სალუხინი — 60, 3. ბრიანცევი — 57. მატჩი — 4, ბურთი — 288.

ცსკა. 1. ბელოვი — 93, 2. ანდრეევი — 70, 3. კაპრანოვი — 55. მატჩი — 6, ბურთი—464.

„სპარტაკი“ (ლენინგრადი). 1-2. ივანოვი და ბიკოვი — 63-63, 3. ბელოვი — 42. მატჩი — 4, ბურთი 269.

„სტროიტელი“ (კიევი). 1. პოლივოდა — 80, 2. ვალტინი — 60, 3. პოგულაიი — 42. მატჩი — 4, ბურთი — 264.

„კალევი“ (ტარტუ). 1. ტომსონი — 64, 2. კრიკუნი — 53, 3. ლილი — 45 მატჩი — 4, ბურთი — 281.

ვეფ (რიგა). 1. იურგენსონი — 87, 2. კაცენსი — 60, 3. უვიგურსი — 31. მატჩი — 4, ბურთი— 303.

ახკ (რიგა) 1. ფრეიმანისი — 60, 2. ეგლიტისი — 39, 3. სტრელისი — 35. მატჩი — 4, ბურთი — 261.

„უალგირისი“ (კაუნასი) 1. პაულაუსკასი — 77, 2. ვენზბერგასი — 43, 3. ეუკაუსკასი — 38. მატჩი — 4, ბურთი — 302.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი). 1. კოვალენკო — 71, 2. ბიჭიაშვილი — 40, 3. ლომაძე — 37. მატჩი — 4, ბურთი — 230.

„დინამო“ (მოსკოვი). 1. ილიუკი — 53, 2. ბილოშევი — 46, 3. პეტროვი — 30. მატჩი — 4, ბურთი — 245.

„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა). 1. ვეისმანი — 125, 2. ნიკიშინი — 91, 3. პოზდნიაკოვი — 90. მატჩი — 6. ბურთი — 442.

დაბოლოს, სსრ კავშირის ნაკრების წევრთა შესახებ. აქ ჩვენ მხედველობაში ვიღებთ არა მარტო ჩაგდებული ბურთების რაოდენობას, ე. ი. ნაკრების წევრთა სნაიპერულ მონაცემებს, არამედ იმასაც, თუ რამდენ ხანს დაჰყვეს მათ საერთო ჯამში მოედანზე.

1. ბელოვი (ცსკა) — 6 მატჩი — 117 წუთი		93 ქულა
2. პოლივოდა („სტროიტელი“) 4 მატჩი — 139 წუთი		80
3. პაულაუსკასი („უალგირისი“) 4 მატჩი — 107 წუთი		77
4. კოვალენკო („ბურ“. თბ.) 4 მატჩი — 160 წუთი		71
5. ანდრეევი (ცსკა) 6 მატჩი — 147 წუთი		70
6. ტომსონი („კალევი“) 4 მატჩი — 140 წუთი		64
7. კაპრანოვი (ცსკა) 6 მატჩი — 120 წუთი		55
8. კრიკუნი („კალევი“) 4 მატჩი — 120 წუთი		53
9. ვოლნოვი (ცსკა) 6 მატჩი — 105 წუთი		50
10. საკანდელიძე („დინამო“, თბ.) 4 მატჩი — 128 წუთი		44
11. სელიხოვი (ცსკა) 6 მატჩი — 96 წუთი		41
12. ლიკსო (ცსკა) 5 მატჩი — 97 წუთი		28

ნ. გუგუშვილი.



ისინი არ ნებდებიან

მეხიკოს ოლიმპიადის დღეებში მსოფლიო აღტაცებული იყო შესანიშნავი ზანგი მძლეოსნების ტომი სმითისა და ჯონ კარლოსის მამაცობით. მოსალოდნელი რეპრესიის მიუხედავად, საპატიო კვარცხლბეკზე მდგარმა სპორტსმენებმა შავხელთათმნიანი ხელით მუშტები შეკრეს და ასე ესალმებოდნენ აღტაცებულ მაყურებლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული რასობრივი დისკრიმინაციის პროტესტის ნიშნად. რეპრესიებმა კი არ დააყოვნა. ამერიკულმა სპორტულმა ხელმძღვანელობამ სმითსა და კარლოსს ოლიმპიური პასპორტები ჩამოართვა, მოსთხოვა სასწრაფოდ დაეტოვებინათ ოლიმპიური სოფელი და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებულიყვნენ.

კარლოსმა და სმითმა მეხიკოშივე პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეწყვეტენ ბრძოლას რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ზანგი ხალხის კანონიერი უფლებების დასაცავად.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დ. რობინმ, რომელიც თავისი რასისტული შეხედულებებითაა ცნობილი, მოითხოვა ორივე სპორტსმენის სამუდამო დისკვალიფიკაცია და შინაურ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის აკრძალვა „ყოფაქცევის წესების დარღვევის გამო“.

რობის ზურგს უკან უფრო დიდი ძალა დგას. აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა ბ. პაულმა, რომელიც პრესის საკითხებს განაგებს, აღიარა, რომ „სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსთხოვა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ორივე სპორტსმენს ჩამოართვას ოლიმპიური პასპორტები და მეხიკოდან გაასახლოს“.

მათ წინააღმდეგ მიმართულ სიცრუისა და ცილისწამების კამპანიას კარლოსი და სმითი იმით აძლევენ პასუხს, რომ მოგზაურობენ და ყველა პატიოსან ამერიკელს უხსნიან თავიანთი პოზიციის არსს.

ამას წინათ კარლოსი ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოვიდა. ახობით სტუდენტი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მუშტად შეკრული ხელით უსმენდა ორატორს.

კარლოსი ჰყვებოდა თავის თავზე, ტ. სმითზე, თავის ოჯახზე, ცოლსა და პატარა გოგონაზე. „მე დამპირდნენ, — ამბობდა სპორტსმენი, — თუ ტეხასის უნივერსიტეტის სახელით გამოხვალ, შენს ცოლს კარგ სამუშაოს მივცემთო. იცით, რას წარმოადგენს კარგი სამუშაო ზანგი ქალისთვის? ჩემს ცოლს ჭურჭელი უნდა ერეცხა ბარში. ახლა ატმოსფერო, რომელიც ჩემი გოგონას გარშემო შეიქმნა? ჩემს მეზობლად მცხოვრები თეთრები თავიანთ ბავშვებს ჩემს გოგონასთან თამაშს უკრძალავენ, რადგან იგი შავკანიანია. სამი წლის გოგონამ ასე იგრძნო, რა არის რასიზმი“.

„მეხიკოდან ჩვენი გამოსახლებითა და ოლიმპიური პასპორტების ჩამორთმევით, — თქვა კარლოსმა, — ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უხეშად დაარღვია აშშ-ს კონსტიტუცია. ამისთვის მან პასუხი უნდა აგოს“. კარლოსმა თქვა, რომ მეგობრისა და მის ინტერესებს დაიცავს ორი ადვოკატი, ერთი — ნიუ-იორკში, ხოლო მეორე — ლოს-ანჟელესში.

* * *

სურათზე: კარლოსი თავის მეუღლესთან ერთად ტოვებს ოლიმპიურ სოფელს.

გრონშტეინი არ ცხრება

რიგა, 13 დეკემბერი. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა გუნდურ პირველობაზე დიდოსტატი დ. გრონშტეინი დაგვიანებით, II ტურზე ჩამოვიდა ბერლინიდან, სადაც ე. ლასკერის მემორიალში გაიმარჯვა. „დინამოს“ პირველ დაფაზე მოთამაშე მოსკოველი აგრესიულად იყო განწყობილი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალთან („დაუგავა“) პარტიაში. გრონშტეინმა თეთრებით საჭადრაკო პრაქტიკაში ყველაზე მწვავე დებიუტი — მეფის გამბიტი აირჩია. ტალმა გაბედულად მიიღო გამოწვევა, მაგრამ მე-15 სვლისთვის დიდი ხნით ჩაფიქრდა. ამის მიზეზიც ჰქონდა. ლაზიერების ნაადრევი გაცვლის მიუხედავად, ბრძოლის სიმძაფრე არ განელებულა. გრონშტეინმა გონებამახვილურად შესწირა ხარისხი შეტოქეს და მთელ ფრონტზე უძლიერესი იერიში განავითარა. მალე მეტოქენი მწვავე ენიტნოტში აღმოჩნდნენ. სათამაშო დროის ამოწურვის წინ ტალმა უიმედო პოზიცია მიიღო, 43-ე სვლაზე კი საათიც გააჩერა.

შესანიშნავად თამაშობდა სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. პოლუგაევსკი („ბურევესტნიკი“). საკმარისი იყო დიდოსტატ რ. ხოლმოვს („სპარტაკი“) დაუკვირვებლად გადაეყვანა ერთი ფიგურა ლაზიერის ფრთაზე, რომ პოლუგაევსკიმ შავ მეფეზე პირდაპირი იერიშით გაიარჯა.

ამავე მატჩის დიდოსტატთა დუელში ა. სუეტინმა („სპარტაკი“) მოუგო მ. ტაიმანოვს, ხოლო ვ. სმისლოვ („ბურევესტნიკი“) — ი. ბოლესლავსკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა აიძულა სპარტაკელი თ. გოლოვეი წარმოეთქვა უსიამოვნო სიტყვა „გნებდებით“.

ი, II ტურის შედეგებიც: „ბურევესტნიკი“ — „სპარტაკი“ 6:4, „დინამო“ — „დაუგავა“ 5.5:4.5, „ავანგარდი“ — „უალგირისი“ 7:2 (1), „ლოკომოტივი“ — „მოლდოვა“ 3.5:2.5 (4), „ტრუდი“ — „იიუდო“ 5:2 (3). შეიარაღებული ძალები — „კალევი“ 5:3 (2).

მეორედ გადაიდო ტალ—ზაიცევის („ლოკომოტივი“) I ტურის პარტია. მოსკოველ ოსტატს მოგების შანსი აქვს.

ვერ „ამორიგდნენ“

კიევი, 13 დეკემბერი. 23-დღიანმა საშაშო მარათონმა ვერ გამოავლინა ასუჯრედინი სამეფოს პირველი ბრძანი: მსოფლიო ჩემპიონი ა. ანდრეიკო (რიგა) იძულებული გახდა გადაეყო I-II ადგილები საკავშირო ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილესთან — მინსკის უნივერსიტეტის სტუდენტთან, 20 წლის ა. განტვარგთან. გამარჯვებულებმა 12,5-12,5 ქულა დააგროვეს და ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს. დასკვნითი ტურის დაწყებიდან ნახევარი საათი გავიდა, რომ რიგელი ყაიმზე შეუთანხმდა ხარკოველ ლ. ლლობოდსკოის და ამ უკანასკნელმა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდების მოხვეჭა პირველმა მიულოცა დიდოსტატს. მაგრამ გამოირკვა, რომ ხარკოველი აჩქარდა: 5 საათის შემდეგ მან იგივე გაიმეორა განტვარგის მისამართით. ისე კი, თითქმის არავინ ელოდა მინსკელის გაძარჯვებას — იგი ხომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ი. კოპერმანს ვთამაშობდა. ახლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებისთვის ანდრეიკო და განტვარგი მ. ტრში შეხვდებიან ერთმანეთს. მანსკელი უკვე ასლაც უნდა იყოს „მაყოფილი“: იგი დიდოსტატი გახდა. მატჩი კი, რომელიც 6 პარტიისგან შედგება, გაისად ნაკარჯვნი გაიმართება. გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩენ მოსკოველები ვ. ბჩოგოლევი და ვ. ალეიფონოვი, რომლებმაც შესაბამისად III და IV ადგილები დაიკავეს. V ადგილზეა ოთხი კოპერმანი (11 ქულა), VI — ტაშკენტელი ნ. დავიდოვი (9,5).

ფრენბურთის გაკვეთილი

ამ დღეებში გაიმართა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მოსკოვში ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა ხარკოვი თანაკლუბელები — 3:1, ხოლო „დინამომ“ — ცსკა — 3:0.

ალმა-ათაში ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა“ მოუგო შეხვედრა რიგის „რადიოტექნიკს“ — 3:0.

ბაკოში აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის ფრენბურთელებმა სძლიეს სსრ კავშირის ჩემპიონს — ტალინის „კალევს“— 3:1.

ფოდეგათა მინიჭება

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ცურვაში**—ა. ფეოქტისტოვს, ვ. ურბანოვიჩს, ი. ბოროდინს, ნ. დავთიანს (ყველა — თბილისის „განთიადი“), ვ. გრიგორაშენკოს (თბილისის „შრომითი რეზერვები“), ნ. ზემლიანუხინს (ბათუმის „ბურევესტნიკი“), პ. ზუბს, ვ. ბოლქვაძეს (ორივე — თბილისი, განათლების სამინისტრო); **კლასიკურ ჭიდაობაში** — გ. კაპანაძეს (რუსთავის „განთიადი“), ი. ასლანიდის (ბათუმის „დინამო“), რ. მეტონიძეს, ზ. ბობოხიძეს (ორივე — ქუთაისის „დინამო“); **ჩოგბურთში** — ვ. ბეგელაშვილს, ი. შოგირაძეს, გ. ეგნატაშვილს (სამივე — თბილისის „ბურევესტნიკი“); **ფრენბურთში** — მ. ყვარელაშვილს, ი. კაცენელსონს, ლ. ბერასიმოვს, ც. თოფურიძეს, გ. დუხანოვას, ა. აირაპეტიანს (ყველა — თბილისის „ბურევესტნიკი“); **მაგიდის ჩოგბურთში** — პ. ეფიმოვს (თბილისი, განათლების სამინისტრო), ლ. ეფიმოვს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **კალათბურთში** — თ. ბუიღლიშვილს (თბილისი, „დინამო“); **ტანვარჯიშში** — ლ. ლაქტიონოვას, ჯ. ზაქარაძეს, ე. სამხარაძეს, ტ. ოლშანსკაიას (ყველა — თბილისის „სპარტაკი“); **აკრობატიკაში** — ვ. ჯამასპიშვილს (თბილისის „შრომითი რეზერვები“); **კრივში** — გ. ცხადაიას, ე. შალამბერიძეს (ორივე — ქუთაისის „შრომითი რეზერვები“); **ველოსპორტში** — ბ. კიკვაძეს (ბათუმის „დინამო“), ი. ლიტვინოვს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ა. მაღრაძეს (ორჯონიკიძის „განთიადი“); **სამბოში** — ა. ასპანაშვილს (ტყვარჩელის „განთიადი“), ო. პაპიტაშვილს (გორის „განთიადი“), ზ. ბეთლემიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი“), თ. გოგისავანიძეს, გ. ხონელიძეს (ორივე — ქუთაისის „დინამო“), ა. ლასურაშვილს (თბილისის „დინამო“).

„უსასრულო მარათონის ფანატიკოსი“

„ორ დღეში ბუდაპეშტიდან ვენამდე“ — ასე დაარქვა თავის ერთ-ერთ წერილს ავსტრიელმა გაზეთმა „ფოლკსშტიმმ“, საიდანაც ეს სურათია გადმოღებული.

უნგრელ მორბენალზე დიერდ შირილაზე მსოფლიოს ბევრი გაზეთი წერს. დიერდმა ვარჯიში ბავშვობიდანვე დაიწყო. 17 წლისამ მან უკვე მარათონში აიღო სტარტი. აქ გამოირკვა, რომ 42 კილომეტრი და 195 მეტრი უმნიშვნელო მანძილი იყო ჭაბუკი სპორტსმენისთვის.

შირილამ სწორედ მაშინ გადაწყვიტა გამხდარიყო „უსასრულო მარათონის ფანატიკოსი“, როგორც იგი თავის თავს ხუმრობით უწოდებს.

უნგრელი სპორტსმენი აწყობდა უგრძეს მანძილებზე რბენას სხვადასხვა ქალაქს შორის ჯერ თავის ქვეყანაში, შემდეგ მის საზღვრებს გარეთაც. შარშან უჩვეულო მარათონელს საბჭოთა ხალხიც გაეცნო: ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად შირილამ მოაწყო რბენა მარშრუტით: ბუდაპეშტი — მოსკოვი. მან 34 დღეში დაფარა 2215 კილომეტრი.

ბუდაპეშტიდან ვენამდე 278 კილომეტრია. ეს მანძილი უნგრელმა სპორტსმენმა 25 საათში, 58 წუთსა და 43,6 წამში გაირბინა. სულ ამ მიზანს მან ორი დღე მოანდომა (დასვენების ჩათვლით). როგორც წესი, შირილას თან ახლავს მამა, რომელიც პროფესიით ექიმია. იგია სპორტსმენის მასაჟისტი და „მსაჯი“ ამ თავისებურ ასპარეზობაში.

შირილას გადაწყვეტილი აქვს მალე ბალკანეთის ყველა ქვეყანა შემოირბინოს.

სურათზე: დიერდ შირილა ბუდაპეშტ—ვენის დისტანციაზე რბენის დროს.

ვ. სტოლიაროვი



ჯვრისეულს ეშლება

„მიიღეთ განსხვავება“

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ჩავიდა მონრეალში საერთაშორისო გამოფენისადმი მიძღვნილ ტურნირში სათამაშოდ. სპორტსმენები მოთავსეს საუკეთესო სასტუმროში, გამოუყვეს სავარჯიშო მინდორი, ავტობუსი და, საერთოდ, შესაფერისი ზრუნვა გამოიჩინეს. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუმრების კვებას. ნოყიერი საუზმის, სადილისა და ვახშმის შემდეგ ფეხბურთელები სერიოზულად ეკითხებოდნენ მწვრთნელებს: „რატომ გვასუქებენ ასე?“.

გავიდა სამი დღე. ერთხელ ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებს შეხვდა ერთი კანადელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ფეხბურთელთა მიღებაზე, და შეკითხვით მიმართა მათ:

— ხომ ვერ ამიხსნიან, პატივცემული ბატონები, რატომ ჭამენ ასე ცოტას საბჭოთა გუნდის მოთამაშეები? ეტუობა, თქვენს ბიჭებს არ მოწონთ ჩვენი სამზარეულო.

მწვრთნელებს ეგონათ, რომ კანადელი ხუმრობს და ამიტომ აღარ შეუდგნენ ამ საკითხის გაღრმავებას.

ტურნირი დამთავრდა. დადგა დრო გაეფორმებინათ უკან გამოსამგზავრებელი საბუთები და მოეწესრიგებინათ საქმეები. როცა ყველა ფორმალობა დამთავრდა და ჩვენი გუნდის ხელმძღვანელები გ. კაჩალინი და ნ. სიმონიანი ემშვიდობებოდნენ სტუმართმოყვარე მასპინძლებს, ისინი მოულოდნელად მიიწვია შეჯიბრების მთავარმა ხაზნადარმა.

მან ჩაიხედა რაღაც ქაღალდებში და თქვა:

— განსხვავება გერგებათ კვებისთვის.

—გაგვიმარტეთ, რაშია საქმე?

ხაზინადარმა გაიღიმა:

— თქვენი ბიჭები ვერ გაუმკლავდნენ მათთვის გამოყოფილ საკვებს და გუნდმა უნდა მიიღოს იმის განსხვავება, რაც შეუჭამელი დარჩა.

ტრაღიციის საწინააღმდეგოდ

ერთხელ მოსკოვის ტორპედოელთა გუნდი სტადიონზე წაიყვანა ახალმა ავტობუსის მძღოლმა. მან არ იცოდა გუნდის ტრადიცია და მანქანა „დინამოს“ სტადიონის ტერიტორიაზე შეიყვანა არა ჩრდილოეთის ალაყაფიდან, არამედ სხვა მხრივ.

გუნდის უფროსმა მწვრთნელმა მაშინვე ჩაიბურტყუნა: „დალახვროს ეშმაკმა, ცუდადაა საქმე“.

ტორპედოელებმა მატჩი წააგეს. „უკუღმართი“ მძღოლი ამის შემდეგ გუნდში აღარ უნახავთ.

მეკარის „რეკორდი“

როსტოვის „შრომითი რეზერვების“ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი თბილისში თამაშობდა ამ სპორტსაზოგადოების პირველობაზე მასპინძელთა გუნდთან და დამარცხდა ანგარიშით... 0:30!

მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა მაშინვე დატოვა სტადიონი, მოთამაშეები კი გასახდელში დარჩნენ და ჩურჩულს შეუდგნენ. რაში იყო საქმე? მეკარის წინააღმდეგ ხომ არ ხდებოდა შეთქმულება?

წინადადება მრავალი იყო, მაგრამ გუნდმა მიიღო კაპიტნის რჩევა, რომელმაც საკმაოდ ორიგინალური ხერხი გამოიგონა მეკარესთან ანგარიშის გასასწორებლად. მისი წინადადებით ბიჭებმა ხელში აიყვანეს ამ უნახავი ანგარიშით დამარცხების მთავარი მიზეზი და ასე გამოიყვანეს სტადიონიდან ჭუჭაში.

— რა მიზანი გქონდათ? — ჰკითხეს კაპიტანს.

— ეს თავისებური საპატიო წრე გახლდათ, — თქვა როსტოველთა მეთაურმა. — განა ყველა მეკარეს შეუძლია მიიღწიოს ასეთ რეკორდს?

სამხრეთში გაზაფხულია

სამხრეთ ნახევარსფეროში სპორტული გაზაფხული დაიწყო — ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სტადიონებზე გაიმართა მძლეოსანთა პირველი შეჯიბრებები. სიდნეიში, ბრისბენში, მელბურნში და ადელაიდაში მოასპარეზე ოლიმპიელებმა კარგი შედეგებიც მოიპოვეს.

მელბურნში ე. სნიზუელმა და ლ. პეკერმა 210 სმ სიმაღლე დაძლიეს, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. დაუბელმა კი ნახევარი მილი 1 წუთსა და 49,5 წამში გაირბინა. რ. კლარკმა მოიგო 5000 მეტრზე რბენა — 13.49,8.

ადელაიდაში ავსტრალიის რეკორდსმენმა კ. ო'ბრაიენმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში იერიში მიიტანა საკუთარ რეკორდზე (8.29,0), რომელიც შარშანწინ დაამყარა. მან, მართალია, კარგად ირბინა, მაგრამ რეკორდი მაინც გადარჩა — 8.31,0.

სიდნეიში ჯ. ლამმა 220 იარდი 23,8 წამში გაირბინა.

ბრისბენში ვ. ბეირდმა 120 იარდზე თარჯრებში 13,8 წამი აჩვენა, ხოლო მ. ჰოფმენმა 200 მეტრზე ქალთა რბენაში — 23,9. ერთადერთი, ვინც ეროვნული რეკორდი დაამყარა, შუბის მტყორცნელი ქალი ე. ტომპსონი იყო — 54,11 მ.

ახალზელანდიელ მძლეოსანთა პირველი შეჯიბრება ოკლენდში გაიმართა. აღსანიშნავია ოლიმპიელი სტაიერის რ. მედფორდის გამარჯვება 5000 მეტრზე — 13.48,6.

▲ **იტალიელმა** გოლფარინმ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. 15-რაუნდიან ბრძოლაში მან ქულებით სძლია გონზალესს (საფრანგეთი).

▲ **გამოდევნებით** 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა კ. კურმანმა (შვეიცარია) 5 კილომეტრზე რბოლაში 6.06,8 აჩვენა, რაც ახალი მსოფლიო მიღწევაა.

▲ **ბიოგბინგენის** დარბაზში გამართულ მძლეოსანთა ტურნირში გფრ-ის საუკეთესო ხუთჭიდელმა პ. როზენდალმა 60 მ 7,6 წამში გაირბინა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

▲ **ფრანკფურტში** ჩატარდა გდრ-ის მძლეოსანთა ტურნირი. 10-კილომეტრიანი კროსი მოიგო მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილემ ბ. დისნერმა — 29.09,0. ცნობილი ი. ჰაჯუ მას 21,6 წამით ჩამორჩა.

ᲙᲣᲠᲗᲐᲠᲘᲙᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ...

◆ **კატოვიცი**, 14 დეკემბერი. აქ სტუმრად მყოფმა თბილისის სპორტკლუბ „გამარჯვების“ ძალოსნებმა დამარცხეს კატოვიცის ოკრუგის ნაკრები — 6:1.

◆ **ბელგრადი**, 14 დეკემბერი. იუგოსლავიის დედაქალაქის ახალგაზრდულ დახურულ აუზში ისევე, როგორც მოსკოვში, გრძელდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლა წყალბურთში. მეოთხედფინალური ეტაპის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ამ სპატიო პრიზის ახლანდელი მფლობელი — ზაგრების „მლადოსტი“ და მარსელის „სერკლ დე ნაეელი“. იუგოსლავიელებმა, რომელთა შემადგენლობაში 5 ოლიმპიური ჩემპიონი იყო, იოლად გაიმარჯვეს — 14:1. მეორე მატჩში ბელგრადის „პარტიზანმა“ სძლია ბუდაპეშტის „ფერენცვაროშს“ — 4:3. გადამწყვეტი ბურთი ბოლო წუთებზე 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ოლიმპიურმა ჩემპიონმა უ. მაროვიჩმა. ტურნირი 15 დეკემბრამდე გასტანს.

◆ **ხართუმი**, 14 დეკემბერი. სუდანში ტურნეს ატარებს დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელთა გუნდი. სხვადასხვა კლუბთან სამი გამარჯვების შემდეგ იგი ამ ქვეყნის უძლიერეს გუნდს „მერიხს“ შეხვდა. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

◆ **სან-სალვადორი**, 14 დეკემბერი. ეკვადორის ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა ანტილის კუნძულების გუნდი. ეს სალვადორელთა მეორე გამარჯვებაა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის XIII შესარჩევი ჯგუფის (ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა) მესამე ქვეჯგუფში. ადრე მათ ფარ-ხმალი დაუყრეს სურინამის ნაკრებს — 6:0. სალვადორელებს კიდევ 2 მატჩი დარჩათ სათამაშო თავიანთ ქვეჯგუფში.

◆ **სანტ-იაგო**, 14 დეკემბერი. ჩილის გუნდთან „უნივერსიდად კათოლიკასთან“ მატჩის მოგებით (1:0) პოლონეთის ეროვნულმა ნაკრებმა გაიმარჯვა 4 გუნდის საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირში, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ ბრაზილიის „პორტუგეზა“ და ჩილის „კოლო-კოლო“. შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშეებად აღიარებული არიან პოლონელი ფეხბურთელები — მეკარე კოსტკა და ნახევარმცველი შოლტისიკი.

◆ **თეირანი**, 14 დეკემბერი. თავიანთი ირანული ტურნეს ბოლო მატჩი ბაქოს „ნეფტჩის“ ფეხბურთელებმა ადგილობრივ „პერსეპოლისთან“ ჩაატარეს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1. მათგან გოლების ავტორები არიან მარქაროვი, ბანიშევსკი და ბაბაევი.

◆ **ბელგრადი**, 14 დეკემბერი. პოლონეთის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა გუნდმა ერაყის რესპუბლიკაში სამი მატჩი ჩაატარა და სამივე მოიგო: ქვეყნის ნაკრებთან (1:0), არმიის ნაკრებთან (2:0) და პოლიციის ნაკრებთან (2:1).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

მაგიდის ჩოგბურთი. სპორტის სასახლე. 15 დეკემბერი. საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო (ნაკრები) — ირანი (ნაკრები). დასაწყისი 12 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. 15-16 დეკემბერი. სხრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ა“ კლასი. ვაჟთა გუნდები: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ვეფ (რიგა). დასაწყისი 20 ს.

ᲡᲐᲥᲛᲔ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡᲐ...

საფრანგეთის გუნდისთვის ჯერ კიდევ არ გადაუციათ ბრინჯაოს მედლები, რომლებიც მან მოიპოვა თანამედროვე ხუთჭიდში ოლიმპიური ტურნირის შემდეგ. სპორტის მოყვარულთ, ალბათ, ახსოვთ, რომ თავდაპირველად III ადგილი შვედებს მიანიჭეს, მაგრამ დოპინგზე შემოწმებისას გუნდის ერთ წევრს სისხლში აღმგზნები საშუალება აღმოაჩნდა. შვეიცის გუნდს დისკვალიფიკაცია უყვეს. ასე ჩამოართვა ერთმა სპორტსმენმა ჯილდოები მთელ გუნდს.

ჯერ კიდევ მეხიკოში ორმა შვედმა ხუთჭიდელმა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბ. ფერმმა და ჰ. იაკობსონმა ჩაბარეს თავიანთი ბრინჯაოს მედლები (ფერმს, ცხადია, დარჩა უმაღლესი პირადი ჯილდო), თვით დამნაშავე კი — ჰ.-ჰ. ლილიენვალი ოლიმპიადის ქვეყნიდან გაემგზავრა და საპატიო ნადავლიც წარიტაცა.

და აი, ამის შემდეგ დაიწყო „საქმე მედლებისა“, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ლაილაი. ლილიენვალი არ ტყდებოდა თავის დანაშაულში და ამტკიცებდა, რომ სროლაში შეჯიბრების წინ მან მხოლოდ ორი კათხა ლუდი დალია. მერე ხმა გამოვიდა, რომ მას საერთოდ აღარა აქვს მედალი — თითქოს იგი ვილაცას გადასცა. მაგრამ თავად ლილიენვალმა უარყო ეს ხმები და განაცხადა, რომ ოლიმპიური ჯილდო მას არავისთვის გადაუცია.

შვეიცის ოლიმპიური კომიტეტი ყოველნაირად ცდილობდა ლილიენვალის გამართლებას. ერთმა შვედმა ექიმმა სტოკჰოლმში დამნაშავის სისხლი საანალიზოდ ჩაიტანა და ექიმები მთელი თვის განმავლობაში ჯადოქრობდნენ, რათა მეხიკოში გაკეთებული ანალიზის შედეგი გაებათილებინათ. მაგრამ არაფერი გამოვიდა: ბრინჯაოს მედალი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უნდა დაუბრუნდეს.

ამრიგად, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე დროში ფრანგები, ბოლოსდაბოლოს, მიიღებენ ბრინჯაოს მედლებს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 11136